სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება № 46

მცხეთა,სოფელი ძეგვი --- ნოემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ -მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დროებით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მაია კვახაძის პირადი(31001039935) სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ ,,ზურაბ კვახაძე" (პ/N 31001032653), (შემდგომში - სამუშაოს შემსრულებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სკოლის საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გათბობით სისტემის, სან.ტექნიკის და კარის კლიტეების აღდგენითი სამუშაოების მომსახურების შესყიდვა (CPV:98300000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია ხელშეკრულების მუხლი N5-ის გ) პუნქტში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 200.00 (ორასი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - სოფელი ძეგვი.

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით

დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. კერძოდ:

- სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის ორ საკლასო ოთახში მოიხსნა და გაიწმინდა ორი ცალი გათბობის რადიატორი,აღდგენილი და მუშა მდგომარეობაშია გათბობა.
- სკოლის დერეფანში მოიხსნა და გაიწმინდა ორი ცალი გათბობის რადიატორი და მათი მიმდებარე წყლის უკუსვლის მილი.
- შეკეთდა წყლის დისპენსერი.
- შეკეთდა და დაიზეთა კარის კლიტეები.
- შეკეთდა და შეიცვალა საპირფარეშოების ხელსაბანის ორი ცალი ონკანი.

დ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ე) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი ნარჩენი მასალებისაგან.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ -მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის დირექტორი დავით ნავდარაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი

ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა მის. :მცხეთა, სოფელი ძეგვი ს/კ :236087818 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE18BG0000000927879400 **დირექტორი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	ფ/პ „ზურაბ კვახაძე“ პირადი №31001032653 მის.:მცხეთა,სოფ. ძეგვი ტელ.:577 03 92 01 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE61BG0000000128020700 _____ (ხელმოწერა)

მიღება-ჩაბარების აქტი

მცხეთა,სოფ. ძეგვი ,,----'' ნოემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, წარმოდგენილი მისი დროებით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მაია კვახაძის სახით(პ/ნ 31001039935) და მეორეს მხრივ ფ/პ ,,ზურაბ კვახაძე" (პ/ნ 31001032653) შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, ვაფორმებთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2020 წლის -- ნოემბრის N46 გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „შემსრულებელმა" შეასრულა, ხოლო დამკვეთმა მიიღო ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გათბობის,სან.ტექნიკის და კარის კლიტეების აღდგენითი სამუშაოების მომსახურების შესყიდვა, სულ საერთო ღირებულებით 200.00(ორასი) ლარი (CPV:98300000)

მიღება - ჩაბარების აქტი შედგენილია ერთობლივად, რაზედაც ვაწერთ ხელს:

შემსრულებელი: ,,ზურაბ კვახაძე" სს ,,საქართველოს ბანკი" ა/ა GE61BG0000000128020700	დამკვეთი: სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა სს „საქართველოს ბანკი" ა/ა GE18BG0000000927879400
_____ /ზურაბ კვახაძე/	_____ / მაია კვახაძე /